პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 18 მარტი, 1958 წელი
№ 33 (1203)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-14 წელი.

# ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო







## კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვება

## საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მიიღო დადგენილება საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის ჩატარების შესახებ 1959 წლის 8-19 აგვისტოს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში.

ხალხთა მეორე სპარტაკიადის პროგრამაშია: კალათბურთი, კრივი, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, ველოსპორტი, წყალბურთი, ფრენბურთი, სპორტული ტანვარჯიში, აკადემიური ნიჩბოსნობა, საბაიდარო ნიჩბოსნობა და კანოე, ცხენოსნობა, მძლეოსნობა, მოტოსპორტი, ცურვა, წყალში ხტომა, თანამედროვე ხუთჭიდი, ტყვიით სროლა, სასტენდო სროლა, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ძალოსნობა, ფარიკაობა, ფეხბურთი და ჭადრაკი. შეჯიბრებებში მონაწილეობას მიიღებენ რსფსრ-ს (მოსკოვი, ლენინგრადი, აგრეთვე ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები) და ყველა მოკავშირე რესპუბლიკათა კოლექტივები.

სპარტაკიადაში მონაწილე ნაკრები გუნდები დაკომპლექტდებიან არა ნაკლებ პირველი თანრიგის სპორტსმენებით, რომლებმაც ეს შედეგი მოიპოვეს 1958-1959 წლების სპორტულ სეზონში. გუნდები, რომლებიც სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში დაიკავებენ პირველ, მეორე და მესამე ადგილებს დაჯილდოვდებიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრიზებით.

ცალკეულ სახეობებში გამარჯვებულ გუნდებს გადაეცემათ გარდამავალი ჯილდოები და ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის დიპლომები, ხოლო სპორტსმენებს, რომლებმაც გაიმარჯვეს სპორტის ცალკეულ სახეობებში, ან იყვნენ გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში, მიენიჭებათ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისა და სსრ კავშირის 1959 წლის ჩემპიონის სახელი. გამონაკლისს შეადგენს ფეხბურთი, სადაც გათამაშდება მხოლოდ სპარტაკიადის ჩემპიონობა.

სპარტაკიადის ფინალში მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები კოლექტივების გარდა ველოსპორტში, ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ცურვაში, ძალოსნობაში შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ფიზიკური კულტურის ცალკეული კოლექტივები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სპორტის ამ სახეობებში.

სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადა არის მოკავშირე რესპუბლიკების, პროფკავშირების, სპორტსაზოგადოებათა, უწყებების, სკოლებისა და სასწავლებლების მიერ ფიზკულტურასა და სპორტში ჩატარებული მუშაობის შემოწმება. მან ხელი უნდა შეუწყოს ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ მასობრივ განვითარებას, ფიზკულტურის კოლექტივების შემდგომ გააქტიურებასა და მათ ორგანიზაციულად განმტკიცებას, ახალგაზრდობის ფიზიკური მომზადების გაუმჯობესებას და საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის ამაღლებას.

სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებს წინ უნდა უსწრებდეს სხვადასხვა სახის მასობრივი ღონისძიებანი და სპარტაკიადები ფიზკულტურის კოლექტივებში, რაიონებში, ქალაქებში, მხარეებში, ოლქებსა და რესპუბლიკებში.

საწარმოთა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა, დაწესებულებათა და სასწავლებლების, რაიონული და საქალაქო შეჯიბრებები და სპარტაკიადები უნდა მოეწყოს მონაწილეთა სამუშაოსა და სწავლისაგან მოუწყვეტლივ. სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადისათვის მზადებასთან დაკავშირებული ყველა შეჯიბრება საჭიროა გამოყენებულ იქნას კულტურული და ჯანმრთელი დასვენების ფართო ორგანიზაციისა და ახალგაზრდობის ფიზკულტურასა და სპორტში რეგულარული მეცადინეობისათვის.

სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის მომზადებისა და ჩატარებისათვის შექმნილია საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. რომანოვი — საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე; ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ანდრიანოვი — საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. კრივცოვი — საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებათა საკავშირო საბჭოს საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე ი. ზუბკოვი—საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დ. პოსტნიკოვი, ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. ნიკიფოროვი; ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები ლ. დანილოვა და მ. პესლიაკი; რუსეთის ფედერაციის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე კ. კრუპინი; ფიზკულტურისა და სპორტის მოსკოვის კომიტეტის თავმჯდომარე ს. პუშნოვი; უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ლ. ნიკონოვი; უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე რ. ისმაილოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე და სხვ.

ხალხთა მეორე სპარტაკიადის საზეიმო გახსნა დანიშნულია 1959 წლის 8 აგვისტოს, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე მოსკოვში. შეჯიბრებები სპორტის ცალკეულ სახეობებში მოეწყობა ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში (კრივი, ტანვარჯიში); ცენტრალური სტადიონის საწყლოსნო აუზში (წყალბურთი, ცურვა, წყალში ხტომა); მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ მანეჟში (თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა) და ა. შ.



სურათზე: მარცხნიდან—ხალხის რჩეულებს ხმას აძლევენ სპორტის ოსტატი რ. ფრიდონაშვილი, ლ. კაკიაშვილი, ზ. ნათაძე, ამომრჩევლებს თავის ოსტატობას უჩვენებს სტუდენტი ტანმოვარჯიშე დ. გულუა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## მამაცი პარაშუტისტები

სამი მოსკოველი მევობარი ვერა ანტონოვა, ფლორა სალდაძე და ზოია ქარინოვა ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს გაიტაცა საპარაშუტო სპორტმა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ნიჭიერი სპორტსმენები იწყებენ ინტენსიურ მეცადინეობას დოსააფის აეროკლუბში. ამავე დროს ვ. ანტონოვა მუშაობს ტექნიკოსად მოსკოვის ხორცკომბინატში, ფ. სალდაძე — ლაბორანტად 558-ე სკოლაში, ხოლო ზ. ქარინოვა მკერავად „მოსოდეჟდის" № 1 საწარმოში.

დიდ წარმატებას მიაღწიეს ქალიშვილებმა გასულ წელს. მათ დაამყარეს მსოფლიო რეკორდი 1.000 მეტრის სიმაღლიდან კომბინირებულ ხტომაში დაშვების სიზუსტეზე, ხოლო საბჭოთა კავშირის პირველობის გუნდურ ვარჯიშში — 1.500 მ სიმაღლიდან კომბინირებულ ხტომაში მეორე ადგილი დაიკავეს. პირველ ადგილზე გავიდა ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდი ცნობილი სპორტსმენების ვ. სელივერსტოვას, გ. მუხინასა და ნ. პრიახინას შემადგენლობით.

ამას წინათ, ქალთა საერთაშორისო დღეს, ვ. ანტონოვას, ფ. სალდაძეს და ზ. ქარინოვას გადაეცათ I ხარისხის დიპლომი საპარაშუტო სპორტში მოპოვებული წარმატებებისათვის.

## ახალი ევროპული კავშირი

მაგიდის ჩოგბურთში ევროპის პირველი ჩემპიონატის დღეებში, რომელიც ბუდაპეშტში მიმდინარეობდა, შედგა მაგიდის ჩოგბურთის ევროპული ორგანიზაციის საერთო კრება, რომელსაც ესწრებოდნენ ავსტრიის, ინგლისის, სსრ კავშირის, ბელგიის, უნგრეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები.

გადაწყდა, რომ ამ ორგანიზაციას ეწოდოს მაგიდის ჩოგბურთის ევროპული კავშირი.

ახალი კავშირის მორიგი სხდომა ჩატარდება დორტმუნდში მსოფლიო პირველობის დღეებში — 1959 წლის 27 მარტიდან 5 აპრილამდე.



რსფსრ-ს ხალხთა ზამთრის სპარტაკიადა. სვერდლოვსკი. მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევდა შეჯიბრება ციგურებით ფიგურულ სრიალში, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფიგურისტები.

სურათზე: შეჯიბრების მონაწილე გალინა ბესკოვა (მოსკოვი) ასრულებს ცეკვას.

ფოტო ბ. ნაზაროვისა, (საკდესის ფოტოქრონიკა)



დიდ ინტერესს იწვევდა საკავშირო შეჯიბრება მძლეოსნობაში ლენინგრადის ზამთრის სტადიონზე, რომელშიც მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის 400 უძლიერესი სპორტსმენი. აქ ნაჩვენები იქნა რამდენიმე სარეკორდო და საერთაშორისო კლასის შედეგი.

* * *

**სურათებზე:** (ზევით მარცხნივ)—600 მეტრზე რბენაში გამარჯვებული არმიელი ი. ლიტუევი. (მარჯვნივ) — 1.000 მეტრზე რბენაში ქალთა შორის ფინიშთან პირველი იყო მოსკოველი ნ. ოტკალენკო, რომლის შედეგი 2.53,2 ახალი საკავშირო მიღწევაა. (ქვევით შუაში) — 100 მეტრზე ვაჟთა რბენაში გამარჯვებულნი — მარჯვნიდან ი. კონოვალოვი (ბაქო, მესამე ადგილი), ლ. ბარტენევი (კიევი, პირველი ადგილი), ვ. მარინი (მოსკოვი, მეორე ადგილი).

ფოტო **ნ. ნაუმენკოვისა.**
(საკდესის ფოტოქრონიკა).





## ზამთრის შეჯიბრების პრიზიორები

# წარმატება მასობრიობაშია

დადგა გაზაფხული, თუმცა უნდა ითქვას, რომ დიდი განსხვავება ზამთარსა და გაზაფხულს შორის არ ყოფილა. საქართველოში ზამთარი მეტად თბილი იყო, რამაც სპორტსმენებს დია ცისქვეშ სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ჩატარების საშუალება მისცა. ამინდებით კარგად ისარგებლეს მძლეოსნებმაც.

ზამთრის პერიოდში საწვრთნელი მუშაობა ერთგვარად შეაჯამა საქალაქო პირველობამ, რომელიც ჩატარდა მოზრდილთათვის 21-22 თებერვალს და მოზარდთათვის 1-2 მარტს. ამ შეჯიბრებათა შედეგები არ იყო მაინცდამაინც სახარბიელო, მაგრამ მათგან დასკვნის გაკეთება ჯერჯერობით ადრეა. ჩვენის აზრით, მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მივაღწიოთ წამყვან მძლეოსანთა შედეგების სტაბილურობას, ახალგაზრდა ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლინებას.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა უკვე დაამტკიცა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელმაც უნდა შეუწყოს ხელი მძლეოსნობის განვითარებას. ამ დღეებში ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში — აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქუთაისში, ფოთში, ზუგდიდში, თელავსა და მახარაძეში გაემგზავრნენ გამოცდილი მწვრთნელები, ამ საქმის პატრიოტები — ლ. გიორგაძე, ა. ტარასევიჩი, ა. სადოვოი, კ. მალიშკოვი, ნ. სკორნიაკოვი, გ. ნადირაშვილი, ს. ქავთარაძე, ვ. ტყეშელაშვილი. მათ პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიონ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ადგილებზე და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მძლეოსანთა მომზადებასა და სპორტული ოსტატობის ამაღლებას, ახალგაზრდა ოსტატების გამოვლენას.

მძლეოსნობის მასობრივ განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკავშირო საგაზაფხულო მასობრივ კროსს, რომელიც ტარდება სამ ტურად. პირველი ტურია — შეჯიბრებები ფიზკულტურულ კოლექტივებში 16-23 მარტს. მეორე ტური გულისხმობს შეჯიბრებებს რაიონებსა და ქალაქებში, იგი ჩატარდება 5-12 აპრილს. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ფიზკულტურის ძირეული კოლექტივები. მესამე ტური ნიშნავს რაიონებისა და ქალაქების ნაკრები გუნდების რესპუბლიკურ შეჯიბრებას კროსში. იგი მოეწყობა 20 აპრილს რუსთავში.

კროსის პროგრამა ასეთია: ვაჟები პირველობას შეეცილებიან ერთმანეთს 5000 მეტრზე, ქალები 1000 მეტრზე, ჭაბუკები 1000 მეტრზე და ვოგონები 500 მეტრზე რბენაში.

ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენების გამოსავლენად და მძლეოსნობის მასობრივად დანერგვისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება საგაზაფხულო რესპუბლიკურ შეჯიბრებასაც, რომელიც მოეწყობა თბილისში 26-28 მარტს. ამ ღონისძიებებში მოველით 30 ქალაქისა და რაიონის გუნდების მონაწილეობას. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვა 600 საუკეთესო სპორტსმენი. წინა წლებისაგან განსხვავებით ამ შეჯიბრებაში გამოვლენ ოთხი ასაკობრივი კატეგორიის მძლეოსნები (13-14 წლის, 15-16 წლის, 17-18 წლის, 19 წლისა და ზევით).

როგორც ცნობილია, მძლეოსნობაში მუშაობის გაუმჯობესება დიდად არის დამოკიდებული სპორტის ამ სახეობის განვითარებაზე მოსწავლეთა შორის. ამ მიზნით ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა გადაწყვიტა მოაწყოს თბილისის სკოლების, შრომითი რეზერვებისა და რკინიგზის სკოლების მძლეოსანთა მასობრივი შეჯიბრება კომიტეტის გარდამავალ ჯილდოზე. ეს შეჯიბრება (რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ დამწყებნი) ჩატარდება 20 აპრილს „ბურევესტნიკის" სტადიონზე და 27 აპრილს „დინამოს" სტადიონზე. მასში მონაწილეობა უნდა მიიღონ 13-14 წლის, 15-16 წლის და 17-18 წლის მოსწავლეებმა. ნავარაუდევია ღონისძიებაში 600 სპორტსმენის მონაწილეობა. მოსწავლეები, რომლებიც დაიკავებენ პირველ სამ ადგილს ყოველ სახეობაში (ყოველ ასაკობრივ ჯგუფში), დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით.

ის სკოლა, რომლის გუნდიც დაიკავებს პირველ ადგილს თავის რაიონში, დაჯილდოვდება მძლეოსნური ინვენტარით, სიგელითა და დიპლომით. ანალოგიური შეჯიბრებები მოეწყობა ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

წელს ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსნებს გადატვირთული სეზონი ექნებათ. მათ მონაწილეობის მიღება მოუხდებათ მრავალ საკავშირო შეჯიბრებაში. პირველი მათგანი — ლიტვა-საქართველოს მძლეოსანთა მატჩი — გაიმართება 5-6 აპრილს ბათუმში. იმედია, რომ ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსნები სერიოზულად მოემზადებიან შეჯიბრებისათვის და წარმატებით დაიცავენ რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას.

**ა. არხანგელსკი**

## სპარტაკიადა გრძელდება

ქუთაისის [illegible] ბაზებზე გრძელდება 4 ტექნიკუმის ფიზკულტურელთა [illegible] პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები. ქუთაისის ცენტრალურ სპორტულ დარბაზში დამთავრდა შეხვედრები კალათბურთში, სადაც პირველი ადგილი მოიპოვეს დიდი-ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტსმენებმა, რომლებმაც დაამარცხეს ქუთაისის სატყეო ტექნიკუმი — 82:57, ავტომექანიკური ტექნიკუმი — 75:30 და სამთო ტექნიკუმი — 92:39. მეორე ადგილზე გამოვიდნენ სატყეო ტექნიკუმის, მესამეზე — სამთო ტექნიკუმის კალათბურთელები.

დიდი-ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კლუბში ოთხ დღეს გრძელდებოდა შეხვედრები თავისუფალ, კლასიკურ და ქართულ ჭიდაობაში. თავისუფალ მოჭიდავეთა შეხვედრებში უძლიერესები აღმოჩნდნენ ავტომექანიკური ტექნიკუმის წარმომადგენლები. დიდი-ჯიხაიშელები გამოვიდნენ მესამე ადგილზე. მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ სატყეო ტექნიკუმის მოჭიდავეები, სამაგიეროდ მასპინძლები უძლიერესები აღმოჩნდნენ როგორც კლასიკურ, ისე ქართულ ჭიდაობაში. ორივე ამ სახეობაში II და III ადგილები მოიპოვეს ქუთაისის სატყეო და სამთო ტექნიკუმებმა.

**ი. ლეკვეიშვილი**

## მსახიობები ეჯიბრებიან წარმოებას

დიდ სახალხო დღესასწაულს — საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს მიუძღვნეს მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრისა და თბილისის მე-7 სამკერვალო ფაბრიკის სპორტსმენებმა თავიანთი ამხანაგური შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში, რომელიც ჩატარდა მკერავთა კლუბში.

საინტერესო ორთაბრძოლაში თავი ისახელეს თეატრის კოლექტივიდან რ. ჭარხალაშვილმა, გ. ანდრეევსკიმ, ს. რუხიამ, ხოლო მკერავებიდან — ფ. ჯოჯუამ და შ. კვანტალიანმა. მატჩი დამთავრდა მსახიობების გამარჯვებით ანგარიშით 3:2.

შეჯიბრების დასასრულს ჯოჯუა-კვანტალიანის წყვილი შეხვდა ჭარხალაშვილ-რუხიას. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

**ა. ბარნოვი**

# ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში

## აქ სპორტი უყვართ

საქართველოს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ უყვართ ჭადრაკი. აქ ყველაფერია იმისათვის, რომ მეცნიერმუშაკები და თანამშრომლები არა მარტო გაერთონ თამაშით, არამედ დაეუფლონ ჭადრაკის თეორიასაც. ინსტიტუტში არსებობს ჭადრაკისათვის გამოყოფილი ოთახი, შეძენილია საჭირო ინვენტარი (ჭადრაკი, საათები, მაგიდები, სადემონსტრაციო დაფა), ხოლო ბიბლიოთეკამ შეიძინა საჭადრაკო ლიტერატურა და გამოიწერა ჟურნალი „შახმატი ვ სსრ".

ჭადრაკის მოყვარულები (25 კაცი) გაერთიანებული არიან წრეში, რომელსაც ხელმძღვანელობს ლაბორანტი ო. ელიოზიშვილი. ისინი ინტერესით ესწრებიან მეცადინეობებს, სადაც არჩევენ ოსტატთა და საკუთარ პარტიებს, ეცნობიან თეორიულ ვარიანტებს. 1957 წელს მოჭადრაკეებმა მოისმინეს სპორტის ოსტატ ა. ბუსლაევის საინტერესო ლექცია — „ჭადრაკის თეორიის საკითხები".

თავისი ძალა ინსტიტუტის მოჭადრაკეებს უცდიათ გამოცდილ თანრიგოსნებთან ერთდროული თამაშის სეანსებში. ასე მაგალითად, დ. კობალავამ ყაიმით დაამთავრა პარტია ოსტატ ა. ბუსლაევთან.

ტრადიციული გახდა ინსტიტუტის მოჭადრაკეთა გუნდის შეხვედრა ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის სპორტსმენებთან. კვლევითი ინსტიტუტის მოჭადრაკეებმა ამ შეხვედრებში წარმატებას მიაღწიეს.

დიდი გამოცოცხლებაა ინსტიტუტში, როცა მიმდინარეობს ტურნირი. ჩემპიონის სახელისათვის ბრძოლა ყოველთვის ყურადღების ცენტრშია. აღსანიშნავია მეორე საინსტიტუტო პირველობა, რომელშიც 13 მეცნიერ-მუშაკი მონაწილეობდა. როგორც მოსალოდნელი იყო, აქ ყველას აჯობა ო. ელიოზიშვილმა, მაგრამ რადგან იგი კონკურსგარეშე თამაშობდა, I-II ადგილებზე გავიდნენ დ. კობალავა და გ. გოდერძიშვილი (8,5 ქულა თვითეულს). მომდევნო ადგილები დაიკავეს გ. აბესაძემ, კ. გუგუშვილმა და ო. მეგრელაძემ (7 ქულა თვითეულს).

საჭიროა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტის მოჭადრაკეთა წარმატებაში გარკვეული დამსახურება მიუძღვის სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" ძირეულ საბჭოს (თავმჯდომარე გ. გუგუშვილი).

**ლ. სალაყაია**

## წონითი კატეგორიების მიხედვით

ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედინსტიტუტში დამთავრდა შიდასაკოლექტივო პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სპორტსმენებმა, რომლებსაც იმდენივე საჯარიმო ქულა აღმოაჩნდათ, რამდენიც ისტორია-გეოგრაფიის ფაკულტეტს, მაგრამ წონით კატეგორიებში მეტი პირველი ადგილის დაკავებისათვის მიეკუთვნათ უძლიერესის სახელი.

წონითი კატეგორიების მიხედვით ინსტიტუტის ჩემპიონები გახდნენ ო. ჩუბინიძე, ზ. ვანიშვილი, ნ. ნებიერიძე, გ. ელენტი, რ. ჯორჯაძე, პ. კარიჭაშვილი, ს. თათანაშვილი და ა. გელაშვილი.

ინსტიტუტის ძირეულ კოლექტივს კიდევ მრავალი შიდასაკოლექტივო ღონისძიებების ჩატარება აქვს განზრახული.

**ა. გელაშვილი**

## არმიელებთან მეგობრობენ

თბილისის 43-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებსა და № ნაწილის მეომრებს მტკიცე სპორტული მეგობრობა აკავშირებთ. მოსწავლეები მებრძოლთა ხშირი სტუმრები არიან, საკუთარ და მათს ბაზებზე რეგულარულად მართავენ ამხანაგურ შეხვედრებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ამას წინათ „დინამოს" სპორტულ ბაზაზე ჩატარდა მეგობრების — მოსწავლეებისა და მეომრების სპორტული საღამო, რომელიც მისასალმებელი სიტყვით გახსნა სკოლის კომკავშირული კომიტეტის მდივანმა ვ. პრიხოდკომ. მან საბჭოთა მებრძოლებს გადასცა სამახსოვრო ვიმპელი, რის შემდეგ უმცროსკლასელებმა დამსწრეთ უჩვენეს თავიანთი სპორტული მიღწევები.

დასასრულ ჩატარდა უფროსკლასელ და მებრძოლ კალათბურთელთა შეხვედრა, რომელიც მოიგეს მოსწავლეებმა — 45:43. არმიელებმა რევანში ფრენბურთელთა შეხვედრაში აიღეს — 2:1.

**მ. ჯოლია**

## ლიდერობენ პრიზიორები

მაიაკოვსკის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში დამთავრდა რაიონის 1958 წლის გუნდური პირველობა ჭადრაკში. ფინალში მონაწილეობდა სამ ნახევარფინალურ ჯგუფში გამარჯვებული ექვსი ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის გუნდი.

ფინალში წარმატება წილად ხვდა სოფელ როხის საშუალო სკოლის მოჭადრაკეებს, რომლებმაც 13 ქულით პირველი ადგილი და რაიონის ჩემპიონობა მოიპოვეს. მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მოჭადრაკეები (10 ქულა), ხოლო მესამეზე — სოფელ დიმის საშუალო სკოლის მოჭადრაკეთა გუნდი.

**გ. მეავანაძე**

კალათბურთელთა საკავშირო ჩე-
ჰიონატის მესამე დღეს თბილი-
სის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნ-
დი შეხვდა კაუნასის „ჟალგირისს“.
თამაშის დასაწყისში უპირატესობა ცვალე-
ბადი იყო. მეშვიდე წუთზე კაუნა-
სის გუნდი წინ გავიდა ერთი ქუ-
ლით, მაგრამ შემდეგ გვახარიას,
ბადაშვილისა და იურიევას ზუს-
ტმა სროლებმა თბილისელებს ან-
გარიშში დაწინაურების საშუალე-
ბა მისცა — 15:12. „ბურევესტნი-
კის“ გუნდი არ უშვებდა ინიცია-
ტივას მეჩვიდმეტე წუთამდე, მაგ-
რამ შემდეგ გააქტიურდნენ ლიტ-
ველი სპორტსმენები, თბილისელე-
ბი კი პირიქით, უშვებენ შეცდო-
მებს და ბრძოლით მოპოვებულ
უპირატესობას თანდათან კარგავენ.
შეხვედრის პირველი ნახევარი
მოიგო „ჟალგირისმა“ — 30:26.
მოსალოდნელი იყო, რომ თბი-
ლისელები მაქსიმალური ძალით
იბრძოლებდნენ მეორე ტაიმში,
მაგრამ ეს არ მოხდა. ინიციატივა
კვლავ ლიტველებს ეპყრათ ხელთ,
სადაც განსაკუთრებით გამოირჩე-
ოდა ტულევიჩუტე, თბილისელთა
შორის აქტიური იყო მხოლოდ ქვე-
ლიძე, რომელმაც შეძლო ანგარი-
შის გათანაბრება—41:41. შემდეგ
გრიგორიანმა წარმატებით გამოიყე-
ნა ორი საჯარიმო სროლა და ჩვენი
გუნდი კვლავ გავიდა წინ — 43:41.
ეს იყო თბილისელთა უკანასკნე-
ლი წარმატება. ამის შემდეგ ლიტ-
ველებმა საბოლოოდ ხელთ იგდეს

# ლენინგრადში შეიკრიბნენ უძლიერესნი

**საბჭოთა კავშირის პირველობა კალათბურთში**

ინიციატივა და მოიგეს მატჩი — 56:47.

მეტად დაძაბული და საინტერე-
სო გამოდგა თბილისის „ბურევე-
სტნიკის“ ვაჟთა გუნდის შეხვედ-
რა სვერდლოვსკთან. თბილისელე-
ბმა (კაკაურიძე, ქლენტი, აზბა, ლე-
ჟავა, ლომსაძე) თავიდანვე ხელთ
იგდეს ინიციატივა. ქლენტმა განა-
ხორციელა რამდენიმე ოსტატური
გასვლა მოწინააღმდეგის ფარქვეშ.
მეორე წუთზე წინ იყო თბილისის
გუნდი — 8:2. კარგად იყენებდნენ
ჩვენი კალათბურთელები ლეჟავას
სიმაღლეს. მას ყოველთვის დროუ-
ლად აწოდებდნენ ბურთს და იგიც
შეუცდომლად ათავსებდა მას კა-
ლათში. სვერდლოვსკის გუნდში
კარგად თამაშობდა კანდელი, რო-
მელმაც ნაწილობრივ შეამცირა
განსხვავება ანგარიშში. მე-11 წუ-
თზე სადემონსტრაციო დაფა აჩვე-
ნებდა ფრეს — 17:17, ხოლო ერ-
თი წუთის შემდეგ წინ უკვე სვერ-
დლოვსკელები იყვნენ — 21:17.
პირველი ნახევრის უკანასკნელ
წუთზე „ბურევესტნიკის“ გუნდმა
მოახერხა ანგარიშის გათანაბრება
— 31:31, მაგრამ ბოლო წამებზე
საჯარიმო სროლის შემდეგ სვერ-
დლოვსკელებმა მოიპოვეს უპირა-
ტესობა — 32:31.

მეორე ტაიმში თბილისელებს
ჰქონდათ მატჩის მოგების რამდე-
ნიმე აშკარა შესაძლებლობა, მაგ-
რამ უკანასკნელ წუთებზე გუნდმა
ვერ შეძლო ძალების მობილიზება
და წააგო შეხვედრა — 63:66.

თბილისის „დინამო“ (ასიტაშვი-
ლი, გვანცელაძე, მინაშვილი, ხაზა-
რაძე, კილაძე) ამ დღეს შეხვდა თა-
ვის ძველ მეტოქეს — კაუნასის
„ჟალგირისს“ (მატაჩუნასი, ბირუ-
ლისი, სკუმბრინსი, ლაურიტენასი,
რადიკასი). თამაშის დასაწყისში
უპირატესობა თბილისელთა მხარეს
იყო — 4:2, 6:4, 9:6, ხოლო მეხუ-
თე წუთზე ანგარიში გათანაბრდა
— 11:11. შემდეგ დაწინაურდა
„ჟალგირისი“.

დინამოელებმა გადაწყვიტეს მო-
წინააღმდეგის კალათის „დაბომბ-
ვა“ შორი მანძილიდან. ეს „საქმე“
დაევალათ კილაძესა და ასიტა-
შვილს. გადაწყვეტილება დროული
და სწორი გამოდგა. თბილისელებ-
მა კვლავ ხელთ იგდეს ინიციატივა
და პირველი ნახევარი მოიგეს ან-
გარიშით 41:34.

მეორე ნახევარი კვლავ თბილი-
სელთა იერიშებით დაიწყო. რო-
გორც წინა ტაიმში, სროლების სი-
ზუსტით გამოირჩეოდნენ ასიტაშვი-
ლი და კილაძე. 24-ე წუთზე „დი-
ნამოს“ მიჰყავდა ანგარიში—53:41.
ლიტველებმა სცადეს ტაქტიკის
შეცვლა: მათ გადაწყვიტეს „დინა-
მოს“ ფარის იერიში ცენტრალური
თავდამსხმელის ლაურიტენასის
ხარჯზე. ამან კაუნასელებს წარ-
მატება დროებით მოუტანა, მაგ-
რამ თამაშის ბედი უკვე გადაწყ-
ვეტილი იყო. დარჩენილ დროში
თბილისის გუნდმა შეინარჩუნა
უპირატესობა და მოიგო მატჩი ან-
გარიშით 72:68.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგე-
ბი ასეთია: **ქალები** — „დინამო“
(მოსკოვი)-„ტრუდი“ (მოსკოვი) —
59:52, „სერპ ი მოლოტი“ (მოსკო-
ვი)-სვერდლოვსკი — 51:41, „და-
უგავა“ (რიგა)-„ბურევესტნიკი“
(ლენინგრადი) — 59:54, „ბურევეს-
ტნიკი“ (მოსკოვი)-„ბურევესტნიკი“
(როსტოვი) — 55:53, „კალევი“
(ტარტუ)-ოსკ (ლენინგრადი)—64:53.

**ვაჟები** — „დინამო“ (მოსკოვი)-
„ბურევესტნიკი“ (ალმა-ატა) —
73:44, ოსკ (რიგა)-ცსკ მო (მოსკო-
ვი) — 65:61, „ბურევესტნიკი“
(ლენინგრადი)-„სპარტაკი“ (რიგა)
— 72:68, „კალევი“ (ტალინი)-
„სპარტაკი“ (მოსკოვი) — 64:53.

16 მარტი ჩემპიონატში დასვე-
ნების დღე იყო.

**ვ. ჯაფარიძე,**
**საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.**





## გათამაშების ცხრილები

**ვ ა ჟ ე ბ ი**

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ..კ რიგა | 8 | 7 | 1 | 7 |
| ..სკ მო მოსკოვი | 8 | 7 | 1 | 7 |
| ..დინამო“ მოსკოვი | 8 | 5 | 3 | 5 |
| ..ურ“. ალმა-ატა | 8 | 5 | 3 | 5 |
| ..დინამო“ თბილისი | 8 | 4 | 4 | 4 |
| ..ურ“. ლენინგრადი | 8 | 4 | 4 | 4 |
| ..პარტაკი“ მოსკოვი | 8 | 3 | 5 | 3 |
| ..პარტაკი“ რიგა | 8 | 3 | 5 | 3 |
| ..ალევი“ ტალინი | 8 | 3 | 5 | 3 |
| ..ერდლოვსკი | 8 | 3 | 5 | 3 |
| ..ალგირისი“ კაუნასი | 8 | 2 | 6 | 2 |
| ..ურ“. თბილისი | 8 | 2 | 6 | 2 |

• • •

**ქ ა ლ ე ბ ი**

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ..დინამო“ მოსკოვი | 8 | 7 | 1 | 7 |
| ..ალევი“ ტარტუ | 8 | 7 | 1 | 7 |
| ..ერპ ი მოლოტი“ მოსკ. | 8 | 6 | 2 | 6 |
| ..დაუგავა“ რიგა | 8 | 5 | 3 | 5 |
| ..ურ“. ლენინგრადი | 8 | 5 | 3 | 5 |
| ..ალგირისი“ კაუნასი | 8 | 4 | 4 | 4 |
| ..ურ“. მოსკოვი | 8 | 4 | 4 | 4 |
| ..რუდი“ მოსკოვი | 8 | 3 | 5 | 3 |
| ..კ ლენინგრადი | 8 | 3 | 5 | 3 |
| ..ერდლოვსკი | 8 | 2 | 6 | 2 |
| ..ურ“. თბილისი | 8 | 1 | 7 | 1 |
| ..ურ“. როსტოვი | 8 | 1 | 7 | 1 |

## ...წელს პირველად

...ეტნამის დემოკრატიულ რეს-
...ლიკაში წელს გაიმართება ქვეყ-
...პირველი ჩემპიონატი ფეხბურთ-
...„ა“ კლასის გუნდებს შორის,
...ელშიც მონაწილეობას მიიღებს
...კოლექტივი. გასულ წელს ჩატა-
...ული შეხვედრებიდან დადგინდა
...ძლიერესი გუნდი, 4 გუნდი კი
...ვლინდა ამას წინათ დამთავრე-
...„ბ“ კლასის ფინალურ შე-
...რებაში, რომელსაც წინ უძღო-
...ტურნირები 8 ზონაში.

...“ კლასის 12 კოლექტივი შექმ-
...ორ ქვეჯგუფს. გამარჯვებულე-
...ერთმანეთს შეხვდებიან გადამ-
...ტ მატჩში ჩემპიონის სახელისა-
... პირველი შეხვედრები გაი-
...ა თებერვლის მეორე ნახევარ-
... ჩემპიონატი გაგრძელდება ივ-
...ამდე, რის შემდეგ ხანოის ახალ
...პუბლიკურ სტადიონზე გაიმარ-
...ა აღმოსავლეთის სახალხო რეს-
...ლიკების — ჩინეთის, კორეის,
...ოლეთისა და ვიეტნამის ნაკრე-
...გუნდების საერთაშორისო ტურ-
...ი.

# ასეთი შედეგებით შორს ვერ წავალთ

**თბილისის მოსწავლეთა პირველობა ტანვარჯიშის კომპლექსში**

კომპლექსური შეჯიბრება თბილი-
სის მოსწავლეთა შორის, რომლის
პროგრამაში იყო სპორტული ტან-
ვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში
და აკრობატიკა, წელს პირველად
ჩატარდა.

როგორც მოსალოდნელი იყო,
გუნდური პირველი ადგილი დაიკა-
ვეს თბილისის განათლების განყო-
ფილების ბავშვთა ცენტრალური
ტანვარჯიშული სპორტსკოლის სპორ-
ტსმენებმა, რომლებმაც მნიშვნელოვ-
ნად გაუსწრეს მოწინააღმდეგეებს.
რაიონულ სპორტსკოლებს შორის,
რომელთა ჩათვლა პარალელურად
მიმდინარეობდა, გაიმარჯვა ლენინის
სახელობის რაიონის გუნდმა.

პირად ჩათვლაში გოგონათა შორის
თითქმის კონკურსგარეშე იბრძოდა
მ. ნინოშვილი, რომელმაც 72,10 ქუ-
ლით დაიკავა აბსოლუტური პირვე-
ლობა. ეს შედეგი აღემატება სპორ-
ტის ოსტატის ნორმას. ა. მარიამიძე
და ვ. შიროკაია საგრძნობლად ჩა-
მორჩნენ გამარჯვებულს.

ჭაბუკთა შორის ასეთ განსხვავე-
ბას ადგილი არა ჰქონია. აქ გაიმარჯ-
ვა კ. ხოდიკიანმა, ხოლო მომდევნო
ადგილებზე გამოვიდნენ დ. კარახანა-
შვილი და ა. ფარულავა.

პირველ თანრიგში გოგონებს შო-
რის პირველ ადგილზე გამოვიდა დ.
ჟანუკაშვილი, ხოლო ჭაბუკებს შო-
რის — ბ. აბრამიშვილი.

აკრობატულ ხტომებში საუკეთესო
იყო ლ. უტეშევი, ხოლო შეჯიბრე-
ბა მხატვრულ ტანვარჯიშში მოიგო
ი. ციპლისმა.

ესაა განვლილი შეჯიბრების ტექ-
ნიკური მხარე. მაგრამ რამდენადაც
საქმე ეხება ნორჩ სპორტსმენებს,
ჩვენთვის უფრო საინტერესოა ის,
თუ როგორი რეზერვები გვყავს
ჩვენ, როგორი პერსპექტივები აქვთ
ჩვენს ახალგაზრდა ტანმოვარჯი-
შეებს.

ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო
ყურადღება აკრობატიკასა და მხატ-
ვრულ ტანვარჯიშს. განა დასაშვებია
ის გარემოება, რომ შეჯიბრებაში
მონაწილე 11 კოლექტივიდან სრუ-
ლად დაკომპლექტებული გუნდი
გამოიყვანა მხოლოდ განათლების
განყოფილების ბავშვთა ცენტრა-
ლურმა ტანვარჯიშულმა სპორტსკო-
ლამ. საკითხავია, რატომ აქვთ მივი-
წყებული ეს სახეობანი „დინამოს“,
„სპარტაკს“, „შრომით რეზერვებს“,
„ლოკომოტივს“ და სხვებს?

ბევრი რაიონული სპორტსკოლა ვერ
დაიკვეხნის თავისი მუშაობით სპო-
რტულ ტანვარჯიშშიც. მაგალითად,
ორჯონიკიძის სახელობის რაიონის
სპორტსკოლის გუნდმა, რომელიც
საერთო მეხუთე ადგილზე გამოვიდა,
სულ 991,84 ქულა დააგროვა და აქე-
დან 200-ზე მეტი ქულა ცენტრალურ
სპორტსკოლაში გამოზრდილ ტანმო-
ვარჯიშეთა მიერაა მიღებული. კი-
დევ უფრო ხელშესახებია ამ მხრივ
კიროვის სახელობის რაიონის სპორ-
ტსკოლის გუნდის მაჩვენებლები:
634,23 ქულიდან 158,1 ქულა მიიღეს
ცენტრალურ სპორტსკოლაში აღზრ-
დილებმა შიროკაიამ და კონდაკოვამ
და მხოლოდ დანარჩენი ქულებია სა-
კუთარი რეზერვებით მოპოვებული.

ერთობ დაბალ დონეზე დგას მუ-
შაობა მოზარდ ტანმოვარჯიშეებთან
„შრომით რეზერვებში“, კალინინის
სახელობის რაიონის სპორტსკოლაში.

ცალკეულ ტანმოვარჯიშეთა სუს-
ტი მომზადების საილუსტრაციოდ
შეიძლება მოვიყვანოთ ის ფაქტი,
რომ შეჯიბრების მთავარი მსაჯი ბა-
ლიაშვილი იძულებული იყო წესების
შესაბამისად შეჯიბრებიდან მოეხსნა
ც. ვაჩაძე — 12,15 ქულა, ნ. ხუხუ-
ნაშვილი — 16,3 ქულა (კიროვის
სახ.რაიონი), მ. ურთმელიძე —
22,45 ქულა („დინამო“), ლ. ლეგა-
შვილი — 18,9 ქულა, ნ. ბეგიაშვილი
— 18,65 ქულა, ლ. სოსელია —
15.75 ქულა (კალინინის სახ. რაი-
ონი).

გოგონები შედარებით უკეთესად
არიან მომზადებული, მაგრამ ჭაბუ-
კთა შორის მსაჯებმა ბევრის ვარჯი-
ში შეაფასეს ასეთი ქულებით —
2,4; 3,0; 4,25 და ა. შ. არც ერთ
ტანმოვარჯიშე ჭაბუკს არ მიუღია
მაღალ თანრიგებში 9 ქულა და მეტი.

შეჯიბრებაში მონაწილე 180 ტან-
მოვარჯიშიდან სათანრიგო ნორმა
შეასრულა 51-მა მონაწილემ. ეს მე-
ტად დაბალი მაჩვენებელია. ოსტატ-
თა თანრიგში გამოდიოდა 23 ტანმო-
ვარჯიშე და აქედან ნორმა მხოლოდ
მ. ნინოშვილმა შეასრულა.

განვლილმა შეჯიბრებამ ბევრი
სხვა ნაკლოვანებაც გამოავლინა. ყვე-
ლა მწვრთნელის მოვალეობაა მაქსი-
მალური ენერგიით იმუშაოს თბილი-
სის ნორჩ ტანმოვარჯიშეთა კლასის
ამაღლებისათვის.

**თ. ქუჩუკაშვილი**

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** ვ. შიროკაია ას-
რულებს ვარჯიშს წონასწორობაში.
ფოტო ზ. გვეტაძისა.



**დიდი ხანი არაა, რაც თელავის
სპორტსმენებმა მიიღეს ჩინებული
საჩუქარი — ახალი სპორტული
დარბაზი, სადაც შეიძლება მეცა-
დინეობის ჩატარება სპორტის მთელ
რიგ სახეობებში.**

**ამჟამად ინტენსიურ წვრთნას
ატარებენ ახალგაზრდა თელაველი
ტანმოვარჯიშეები, რომლებიც ემ-
ზადებიან მომავალი რესპუბლიკუ-
რი შეჯიბრებისათვის.**

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: (მარცხნივ) —
თელავის ტანმოვარჯიშეთა ერთი
ჯგუფი მეცადინეობის წინ მწვრთ-
ნელ ი. გრიშკაშვილთან ერთად.
(მარჯვნივ) — ახალი სპორტდარ-
ბაზის შიდა ხედი.**

ფოტო **მ. ზარგარიანისა**

# სკოლის მძლეოსანთა შეჯიბრება

ანანურის საშუალო სკოლაში მოე-
წყო შეჯიბრება მძლეოსნობაში.
პროგრამაში იყო 100 მეტრზე რბენა,
სიგრძეზე ხტომა, ბადროს ტყორცნა
და სხვ. 100 მეტრზე რბენაში ყვე-
ლას აჯობა X კლასის მოსწავლემ ვ.
ყარმაზანაშვილმა. მანვე სიგრძეზე
ხტომაში აჩვენა მესამე თანრიგის შე-
დეგი. ყუმბარის ტყორცნაში კარგი
შედეგი აჩვენა ლ. წყარუაშვილმა —
62 მ.

შიდასასკოლო შეჯიბრებაში გამა-
რჯვებული მოსწავლეები მონაწილე-
ობას მიიღებენ სარაიონო შეჯიბრე-
ბაზე.

**ი. ჩიტური**

# კანგჩენჯანლა

**ო. გიგინეიშვილი**

დარბაზობებსა თუ შეხვედრებზე, ყველგან, სადაც კი იწვევდნენ ევერესტის დამპყრობთ, იქნებოდა ეს აზიასა თუ ევროპაში, ევანსს წინ ედგა დაუვიწყარი სურათი—კანგჩენჯანლა, რომელიც ეტოქებოდა მზეს ღრუბელთა მიღმა სამყაროში... ახლა ის საბოლოოდ დარწმუნდა, თუ მას სურდა ნამდვილი დიდებისათვის მიეღწია, მაშინ მის გზას კანგჩენჯანლაზე უნდა გაევლო. მაგრამ სად იყო გზა? იქნებ ისევ იალუნგის ყინვარის მხარე აჯობებდა? ის მხარე, საიდანაც კროულიმ საუკუნის გარიჟრაჟზე უშედეგოდ სცადა ასვლა, ან იქნებ დირენფურტის კედელი? ან ბაუერის გაუვლელი თხემი? ან, ვინ იცის, იქნებ უამრავ შტოქედებს შორის, რომლებიც ჩამორბიან კანგჩენჯანლადან, არის ჯერ კიდევ თვალით უხილავი გზა მწვერვალისაკენ?

წინასწარ ვარაუდებში დირენფურტის გზა უკუგდებული იქნა, როგორც შეუძლებელი, ბაუერის გზა, როგორც მეტად ძნელი და შორიდან მოსავლელი. რჩებოდა კროულის გზა იალუნგის ყინვარიდან, თუმცა მეტად საშიში, სახიფათო, მაგრამ მაინც ერთადერთი შესაძლებელი. ასეთი იყო დასკვნა ინგლისელების ლუისისა და კემპისა, რომელთაც 1953 წელს დაათვალიერეს იალუნგის ყინვარის მხარე. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო აღმოჩენა, რომელმაც გადაწყვიტა კანგჩენჯანლაზე ასვლის ბედი. მათი დასკვნა ჯერ კიდევ შემოწმებას მოითხოვდა. საჭირო იყო ასასვლელი ტრასის ზუსტად განსაზღვრა, გზის ყოველი მონაკვეთის გულდასმითი შესწავლა და მხოლოდ ამის შემდეგ საბოლოო დასკვნის გაკეთება. ევერესტის ექსპედიციის ხელმძღვანელის ჰანტის თავმჯდომარეობით შეიქმნა კანგჩენჯანლას კომიტეტი, რომელმაც ლუისისა და კემპის მონაცემების დასაზუსტებლად და საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად 1954 წლის გაზაფხულზე მოაწყო დაზვერვითი ექსპედიცია იალუნგის ყინვარზე. ექსპედიციის შედეგები არ იყო არც კარგი და არც ცუდი. მან დაადგინა ასვლის საბოლოო გეზი, ამავე დროს ასვლას თვლიდა შესაძლებლად, მაგრამ მეტად სახიფათოდ.

იყო წუთები, როდესაც ევანსი მერყეობდა. ცხადი იყო, რომ სიძნელითა და ხიფათით კანგჩენჯანლა აღემატებოდა ჩომოლუნგმას. წასვლას და ასვლას ჯობდა საერთოდ გვერდის აქცევა ექსპედიციისათვის. ამიტომ ყოველ შემთხვევისათვის, თავის დასაზღვევად, ექსპედიციას კვლავ დაზვერვითი ეწოდა, თუმცა ყველასათვის ცხადი იყო, რომ ერთ ყინვარზე სამი წლის განმავლობაში სამი დაზვერვა მეტად დიდ რაოდენობას წარმოადგენდა. მონაწილენიც ჰკვრი იყვნენ დაზვერვისათვის და მთასვლელთა სიძლიერეც ბევრად აღემატებოდა მხოლოდ დაზვერვის ამოცანებს.

ევანსი ამჯერად მონაწილეობდა როგორც ექსპედიციის მეთაური. სხვა წევრებს შორის იყვნენ ჯორჯ ბენდი, ნორმან ჰარდი, ჯო ბრაუნი, ტონი სტრეტერი და სხვები. მათ ჰქონდათ ჰიმალაისა და ყარაყორუმის მთებში ასვლების დიდი გამოცდილება და რთული ტექნიკური ასვლები ალპებში. ამჯერად ექსპედიციის მოიერიშეთა ჯგუფი უფრო ძლიერი იყო ვინემ ჩომოლუნგმას იერიშის დროს. გაუმჯობესებული იყო საჭურველი, განსაკუთრებით ჟანგბადის აპარატები.

თითქოს ყველაფერი მზად იყო: მთასვლელებიც, საჭურველიც, როდესაც სრულიად მოულოდნელად წამოიჭრა გაუთვალისწინებელი დაბრკოლება — სიკიმის მთავრობამ მოთხოვა ინგლისელებს, რომ მათ უარი ეთქვათ კანგჩენჯანლას მწვერვალზე ასვლაზე. სიკიმის მთავრობა აცხადებდა, რომ ინგლისელები მწვერვალზე ასვლით დაარღვევენ ღმერთების მყუდროებას და გამოიწვევენ მათ რისხვას ადამიანების მიმართ. პროტესტი ისეთი ენერგიული და მკვეთრი გამოთქმებით იყო შედგენილი, რომ ევანსს არ შეეძლო არ გაეწია მისთვის ანგარიში, თუმცა ინგლისელები მწვერვალზე ასვლას აპირებდნენ არა სიკიმის, არამედ ნეპალის მხრიდან.

შეშფოთებული ევანსი სასწრაფოდ გაემგზავრა ქალაქ სიკიმის დედაქალაქ ჰონგტოკში. დაიწყო ჩვენი საუკუნისათვის მეტად უცნაური დიპლომატიური მოლაპარაკება... წარმართთა ღმერთების მყუდროების დარღვევის შესახებ. მოლაპარაკების დროს მრავალჯერ უახლოვდებოდა ექსპედიციის ბედი უფსკრულს და ისევ შორდებოდა, მრავალჯერ დაასხა და ისევე შეაშრა სიმწრის ოფლი ევანსს. როგორც იქნა მიღწეული იქნა შეთანხმება — ქურუმების დასკვნით ღმერთების სამყოფელი ადგილი კანგჩენჯანლას მწვერვალის თოვლით ნაკვეთი თავი იყო. ამიტომ ინგლისელებს შეეძლოთ ეცადათ ბედი, მაგრამ უნდა შეჩერებულიყვნენ მწვერვალის სიახლოვეს ისე, რომ მწვერვალისათვის ფეხი არ შეედგათ, ევანსი დათანხმდა, ან სხვა რა გზა ჰქონდა, მისცა პატიოსანი სიტყვა სიკიმის მთავრობასა და ქურუმებს და სასწრაფოდ დარჯილინგში დაბრუნდა.

დარჯილინგიდან იალუნგის ყინვარამდე გზა ნაცნობი და არც თუ ისე ძნელი იყო. ყინვარის ენიდან, სადაც გაიშალა ძირითადი ბანაკი, კარგად ჩანდა ასვლის მთელი ნავარაუდევი გზა მწვერვალის მთავარ ქონგურამდე. მწვერვალის ქონგურებს ფუძეზე, დაახლოებით 7200 მეტრის სიმაღლეზე, მოსდევდა საკმაოდ ფართე თოვლიანი თარო, რომელსაც ქონგურათაშორისი უნაგირები ყინულოვანი ღარებით უერთდებოდნენ. თაროდან პირდაპირ იალუნგის ხეობაში ჩანჩქერის სახით ეშვებოდა ყინვარი და ნაპრალებით დაჩეხილი და ყინულის ეშვებით აქოჩრილი ყინვარი. შუა წელზე მას გველეშაპისმაგვარი კლდე გასდევდა. სწორედ იქ დაასაფლავეს 1905 წელს კროულის ექსპედიციაში დაღუპული შვეიცარიელი მთამსვლელი პაშჩი. ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდათ მებარგულეებს შერპების ტომიდან, მათ არა მარტო სიმაღლისათვის უნდა გაეძლოთ, არამედ ემუშავათ მეტად საშიშ უბნებზე. ამ მხრივ შეარჩიეს საუკეთესო მებარგულეები. ღონიერნი და გამბედავნი, ისეთები როგორიც იყვნენ დავა თენსინგი — ექსპედიციის მებარგულეთა სარდალი, ანგ დავა, ანგ თემბა და განსაკუთრებით ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე პემბა დორიე, მას ყველანი ჩომოლუნგმას დამპყრობ ნორკეი თენცინგისავით ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. აქებდნენ ინგლისელებიც, რომლებიც ამჯერად უფრო ფრთხილად მოიქცნენ. ვინემ ჩომოლუნგმაზე ასვლის დროს, როდესაც ვინმე მებარგულემ შერპთა ტომიდან ინგლისელთა დიდება გაიყო. ამჯერად მოიერიშე ჯგუფში არც ერთი შერპი არ იყო შეყვანილი.

დაიწყო ულორესად მძიმე და მეტად მომქანცველი სამუშაო-გზის გაკვლევა იალუნგის ყინვარის ნაპრალების ხვეულებში და გზის მომზადება. გზის გაკვლევასა და მომზადებას სათავეში ევანსი ჩაუდგა. ევანსი ბედმა ამჯერადაც დაჩაგრა, მას უარი უნდა ეთქვა კანგჩენჯანლას მწვერვალზე პირად ასვლაზე, ვინაიდან მას, როგორც ექსპედიციის უფროსს საამისო საშუალება არ ექნებოდა, მაგრამ ექსპედიციის გამარჯვება მისი პირადი გამარჯვებაც იქნებოდა.

აპრილის დასასრული და მაისის პირველი ნახევარი მოუნდა საშუალედო ბანაკების მოწყობას ყინვარის ქვედა და ზედა დინებაზე. გზა მზადდებოდა კაპიტალურად, ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მებარგულე შერპების თავისუფალი მოძრაობა — დიდ ნაპრალებზე ხიდებად გადააგდეს ალუმინის კიბეები, ნაპრალების ხვეულებში დაასვეს ფერადი დროშები, ისე, რომ ისინი კარგად გამოჩენილიყვნენ ნისლსა და ქარბუქში. და მიუხედავად ყველაფერი ამისა გზა მაინც მეტად საშიში იყო, ყინულის ლოდები განუწყვეტლივ ინგრეოდნენ და ზვავდებოდნენ. გადმოხრილ და ჩამოსანგრევად გამზადებულ ლოდებს ქვეშ გავლისას საჭირო გახდა ზეადამიანური ძალების მოკრება და მთასვლური დინჯი ნაბიჯის სირბილამდე აჩქარება. თუ ეს კიდევ შესაძლებელი იყო იქ, სადაც სიმაღლე არ სცილდებოდა 6000 მეტრს, უფრო ზევით შეუძლებელი შეიქმნა. უკვე აქ, 6000 მეტრის რაიონში ამ შედარებით „პატარა" სიმაღლეზე ინგლისელებმა ჟანგბადის სასუნთქ ნიღბებს მიმართეს. მხოლოდ ამით შეეძლოთ მათ მწვერვალის იერიშისათვის ძალების შემონახვა. ამ მონაკვეთზე შერპებს ნიღბები არა ჰქონიათ, მათთვის ძალების შემონახვა მწვერვალისათვის არც იყო საჭირო, ვინაიდან რომელიმე შერპის ასვლა მწვერვალზე ამჯერად ინგლისელთა გეგმაში არ შედიოდა.

უკვე ბანაკ № 2-ში ასვლისას შერპებიც და ინგლისელებიც იმდენად იყვნენ მოქანცულები, რომ ულონოდ თოვლზე ვარდებოდნენ და ზურგჩანთის მოხსნის ძალაც კი არ ყოფნიდათ. თუ ასე იყო აქ, 6300 მეტრის სიმაღლეზე, რაღა უნდა ყოფილიყო უფრო ზევით, მწვერვალის სიახლოვეს. წინსვლას აძნელებდა ღრმა თოვლი, რომელიც შუა დღისათვის ლღმა ხდებოდა. ასევე დიდი ბრძოლით შეიქმნა ბანაკები №№ 3 და 4. ყოველი ახალი ბანაკი ლირდა ყინულში გაჭრილ რამდენიმე ასეულ საფეხურად და ათჯერ მაინც განწირულ სიცოცხლედ. მე-4 ბანაკის მისასვლელებთან ყინულოვანი ფერდი იმდენად დიდ დაქანებას იღებდა, რომ სინამდვილეში უკვე კედელს წარმოადგენდა. აქ ჩაიჩეხა ნაპრალში და რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა ექსპედიციის საუკეთესო მებარგულე შერპთა ტომიდან პემბა დორიე. ის წავიდა ამ ქვეყნიდან ისე, რომ თან წაყვა აუსრულებელი ოცნება. ევლო თავის სათაყვანებელი ნორკეი თენცინგის გზით. ეს მოხდა დაახლოებით იქ, სადაც დაიღუპა პაშჩი და სამი შერპი 1905 წელს. პემბა დორიე დაასაფლავეს პაშჩის გვერდით ყინვარის კლდეებში.

თუ მე-4 ბანაკისაკენ გზა იყო მეტად საშიში, სამაგიეროდ ბანაკი № 5 თვით აღმოჩნდა გაშლილი მეტად სახიფათო ადგილას. გზად გავლილმა ზვავმა წალეკა ბანაკიც და იქ დატოვებული საჭურველიც და სურსათიც. მხოლოდ სრულიად შემთხვევით ზვავის დროს ბანაკში ექსპედიციის არც ერთი წევრი არ იმყოფებოდა, თორემ ცხადია ყველა ისინი ზვავში დაასრულებდნენ თავიანთ არსებობას.

მე-5 ბანაკში ასვლის დროს დაზიანდა მთამსვლელი ჯექსონი. მას გაუტყდა სათვალეები და დრო რომ არ დაეკარგა, განაგრძობდა სიარულს უსათვალეებოდ. მაღალი მთის მზის დიდმა სინათლემ და თოვლის ელვარებამ მის თვალებზე იმოქმედა. თოვლზე და ცაზე ათამაშდნენ სისხლისფერი და მწვანე რგოლები, ადამიანები გაურკვეველი ფერის ლაქებად იქცნენ. ძნელი გახდა მათი გამოცნობაც. ცრემლმა უხვად იწყო დენა. შემდეგ კი საშინელი ტკივილები დაეწყო. ასეთ დროს ადამიანს ისეთი გრძნობა აქვს. თითქოს თვალები დანაყული შუშით აუვსეს. ღამით ძილზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. მეორე დილით ჯექსონი ქვევით უნდა წასულიყო და თან წაეყვანა ორი ადამიანი მაინც. ეს ნიშნავდა, რომ სამუშაოებს გამოაკლდებოდა სამი კაცი, ასვლის ბედი კი სწორედ ახლა წყდებოდა, ამინდი აშკარად გაუარესებისაკენ მიდიოდა, მალე მაისიც დაილეოდა და დადგებოდა მუსონების პერიოდი და ამის შემდეგ დარჩებოდა მხოლოდ ერთი გზა — უკან, ინგლისისაკენ. ჯექსონმა დაბრუნებაზე უარი თქვა, ჩადგა შუა თოკში, დაძლია ტკივილი, აიკიდა თავისი წილი ბარგი და განაგრძო გზა ზევით, მე-5 ბანაკისაკენ.

ძლიერმა ქარბუქმა, მუსონების წინამორბედმა და ზვავმა, რომელმაც დაანგრია მე-5 ბანაკი, შეაჩერეს ექსპედიციის მუშაობა. მხოლოდ 24 მაისს გახდა შესაძლებელი შემდგომი წინსვლა. განთიადის მოახლოებისას, 4 საათზე და 30 წუთზე გაიღვიძა ბანაკმა. დიდმა სიმაღლემ, მრავალი დღის მძიმე შრომამ ყველანი საგრძნობლად დაასუსტა. ის, რასაც ბარში ჭირდებოდა წუთები, აქ გრძელდებოდა საათობით. მხოლოდ ფეხსაცმელების ჩაცმამ წაიღო თითქმის საათი, თოვლის გადნობამ და ჩაის ადუღებამ ასევე საათზე მეტი. 4 საათი ემზადებოდნენ, სანამ გავიდოდნენ მე-5 ბანაკისაკენ, და როდესაც გავიდნენ, ყველანი უკვე საკმაოდ იყვნენ დაღლილები.

ამ დროისათვის მზად იყო მწვერვალის იერიშის საბოლოო გეგმა. მწვერვალის იერიშზე გავიდოდა ორი თოკი, პირველი ბენდისა და ბრაუნის, ხოლო მეორე ჰარდისა და სტრეტერის შემადგენლობით. მათ შორის იქნებოდა ერთი დღის ინტერვალი. იერიშის ასეთმა ტაქტიკამ გაამართლა თავი ევერესტის იერიშის დროს, როდესაც სწორედ მეორე თოკმა ჰილარისა და თენცინგის შემადგენლობით გადაწყვიტა მწვერვალის ბედი. თუ კი ამინდი არ იქნებოდა ხელსაყრელი იერიშის პირველ დღეს, მაშინ შესაძლებელია ის ხელს შეუწყობდა ამსვლელებს მეორე დღეს, როდესაც იერიშზე იქნებოდა მეორე თოკი.

მე-5 ბანაკს ზევით გზა კვლავ რთული და სახიფათო გამოდგა, ხოლო ფერდის დაქანება იმდენად დიდი, რომ წინსვლა მხოლოდ საფეხურების ჭრით იყო შესაძლებელი. ზევით რვანი მიდიოდნენ. ორი მოიერიშე — ბენდი და ბრაუნი, ოთხი შერპი-მებარგულე, ევანსი და მატერი. წინ დადგნენ ევანსი, მატერი და ორი შერპი. მათ დააწვათ მოძრაობის მთელი სიმძიმე: გზის გაკვლევა საფეხურების ჭრა და ფიქრი სწორი გზის არჩევაზე. ფიქრიც ხომ საშინლად ღლის ადამიანს ასეთ სიმაღლეზე. ბენდი და ბრაუნი ფეხს ადგამდნენ უკვე გაჭრილ საფეხურებში, ინახავდნენ ძალას სახვალიოდ, მწვერვალზე ასასვლელად. ბენდისა და ბრაუნის განტვირთვის გამო დანარჩენების ტვირთმა 20 კილოგრამს მიაღწია. ეს იყო ისეთი სიმძიმე, რომელიც ერთი ორად აძნელებდა გზას. მიდიოდნენ ნელა, ძალიან ნელა. წერაყინის ყოველი მოქნევა მოითხოვდა შესვენებას. ჟანგბადის ღრმა შესუნთქვას, ყოველი ნაბიჯი მძიმე ტვირთად აწვებოდა გულს, ურევდა სუნთქვას.

გზა ფართე ღარს მიჰყვებოდა და მიემართებოდა მთავარ და დასავლეთ მწვერვალებს შორის უნაგირისაკენ. დაქანება დიდია, ხშირად იმდენად დიდი, რომ წინმავლის ფეხები მომდევნოს თავს უსწორდება, თუმცა მათ შორის მანძილი ორიოდე მეტრს არ აღემატება.

საფეხურებს ერთ ხანს ევანსი ჭრიდა, მაგრამ ძალა მალე დაილია და მოქნეული წერაყინი ყინულზე ულონოდ ეშვებოდა. მაშინ წინ შერპი დავა თენსინგი გადის, ისიც დიდხანს ვერ ძლებს და მას ჯერ მატერი, ხოლო შემდეგ შერპი ნორბუ ცვლის. ბენდი და ბრაუნი მხოლოდ ფეხს ადგამენ გაჭრილ საფეხურებში და ცდილობენ არც წინ იყურონ და არც უკან, არც არაფერზე იფიქრონ — საფიქრელი ხვალაც ექნებათ და საკმაოდ ბევრიც, ხვალ ისინი მარტონი დარჩებიან ცასთან და მწვერვალთან. დღეს მხოლოდ ძალების დაზოგვაა საჭირო.

(დასასრული იქნება)

დასაწყ. იხ. „ლელო" № 30, 31.

## არჩევნებს მ…

სოფლის მეურნეობის მექანიზა… ციის წულუკიძის … რდა პირველობა … მელიც … უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. შეჯი… ბრებაში მონაწილეობდა ტექნიკუმის 25 მოსწავლე. პირველი ადგილი და… კავა რუხაძემ, მეორე — თოფურ…

ი. ჩიხლაძე

* * *

გორის მე-4 საშუალო სკოლის მე… რეული ფიზკულტურული კოლექტი… ვი არჩევნებისადმი მიძღვნილი მე… გობრული ვიზიტით ეწვია ტყიბულის მე-2 საშუალო სკოლის ფიზკულტუ… რელებს და ამხანაგური შეხვედრება ჩაატარა კალათბურთში მასპინძლებ… თან. გაიმარჯვეს გორელებმა.

ი. ქუმელაშვილი

* * *

ორჯონიკიძის რაიონის კი… საშუალო სკოლის მოსწავლეთა შ… დასასკოლო შეჯიბრებაზე ძალოსნო… ბაში მონაწილეობა მიიღო 15-მა მო… წავლემ. ოთხმა მოსწავლემ: ზ. ნ… ბაძემ, ი. თუთბერიძემ, ე. გორგაძემ და ნ. კავილაძემ შეასრულეს მესამე თანრიგის ნორმები.

წარმატება ხვდა მეთერთმეტე კლა… სის მოსწავლე ლ. წვერავას. მან ქვე… საშუალო წონაში უჩვენა მეორე თან… რიგის შედეგი.

კ. ლოლაძე

ჩვენ გვწერენ

## გვიყვარს სასტენდო სროლა

ზუგდიდში ბევრს უყვარს სას… ტენდო სპორტი, მაგრამ ფიზკულტუ… რისა და სპორტის რაიონული კომი… ტეტი არ ზრუნავს სპორტის ამ სა… ხეობის განვითარებისათვის.

გასული წლის დასაწყისში საერ… თაშორისო სპორტის ოსტატის ზ. მ… ხანელის რჩევითა და დახმარებ… დაირაზმა რაიონის აქტივი და … ტატის მიერ გამოგზავნილი პრო… ტით დავიწყეთ საკუთარი სტენდი… მშენებლობა, მაგრამ საქმით ა… ვინ დახმარება არ გაგვიწია. სტენ… მოწყობა კი მარტო ჩვენი ძალებ… გვიჭირს.

საინტერესოა როდის გაგვიწ… საქმიან დახმარებას ფიზკულტუ… რაიონული კომიტეტი ბაზის მშენებ… ლობის დასაჩქარებლად.

შ. ულერია,
„საქჩაის" ტრესტის ზუგდიდის მექანიკური სახელოსნოს დირექტორი.

შ. მიქელაძე,
ავტოსატრანსპორტო კანტორის დირექტორი.

გ. ბულია,
ავტოსატრანსპორტო კანტორის ტექნიკური ხელმძღვანელი.

ლ. ფარჯიკია,
ინგირის ქართული შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელი.

## გვჭირდება წიგნები

ცნობილია, თუ რა სიღა… განვიცდით რესპუბლიკაში სპ… ტული ლიტერატურის მხრივ. … ისიც ემატება, რომ საქართვე… ქალაქებისა და სოფლების მ… ზიებში ვაჭრობის მუშაკები სრ… უყურადღებობას იჩენენ. წიგნი… ღაზიებში ყველგან არის განყო… ლებები: „სამედიცინო ლიტერა… რა", „მხატვრული ლიტერატ…", „პოლიტიკური ლიტერატურა" ა. შ. მაგრამ თითქმის ვერ შეხვდ… წარწერას „სპორტული ლიტერა… რა". ამ ხასიათის წიგნები მ… რებლებმა საათობით უნდა ე… ყველა განყოფილებაში, ხოლო … რად, მიუხედავად იმისა, რომ წ… მაღაზიაში მიღებული აქვთ, იგი მოფენილი არაა.

გ. ახალაი…

რედაქტორი ი. უგულა…

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89 62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-01 06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00293